განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ევროპისმცოდნეობა/ Europian studies**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი/ Bachelor of Europian studies
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ლაშა ბაჟუნაიშვილი, ასოცირებული პროფესორი, ელ-ფოსტა: lasha.bazhunaishvili@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	180 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	✓ საბაზო ცოდნის მიცემა ევროპის რეგიონის ან/და ევროკავშირის ქვეყნების ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, რელიგიის, დემოგრაფიის, ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის, სამართლის და კულტურის შესახებ; ევროპის რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში, ევროპულ საზოგადოებასთან, ისტორიასთან, ფასეულობებთან, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებული ასპექტების, ევროკავშირის, მისი ინსტიტუტების, პოლიტიკების და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების შესახებ. ✓ ევროპისმცოდნეობაში შეძენილი დარგობრივი და ტრანსფერული ცოდნის (მათ შორის შესაბამისი დონის კვლევების) ჰოლისტიკური გააზრება. ✓ შესაბამისი ცოდნის გენერირების პრეზენტაციების უნარ-ჩვევების; ჯგუფთან ალიანსის მიღწევისა და კომუნიკაციის უნარის გამომუშავება სხვადასხვა სახის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ✓ ევროპისმცოდნეობის მომიჯნავე დარგებში, პრიორიტეტების გათვალისწინებით, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენისა და დამოუკიდებლად განხორციელების კვალდაკვალ, ეთიკის პრინციპების დაცვით პროფესიული საქმიანობის განხორციელება.
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება** ✓ მსჯელობს ევროპის რეგიონის ქვეყნებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე. აღწერს ცალკეულ მოვლენებს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ კონტექსტში.

	✓ იცნობს და კომპლექსურად მიმოიხილავს ევროპას გეოგრაფიული, ისტორიული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთნიკურ-რელიგიური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით;
	✓ წარმოაჩენს თანამედროვე ევროპის წინაშე მდგარ გამოწვევებს და განაზოგადებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კონტექსტში, აკავშირებს საქართველოს განვითარების პერსპექტივებთან.
	
	უნარი
	✓ შეუძლია ევროკავშირის ინტეგრაციის ევოლუციის, ისნტიტუციური მოწყობის, ცალკეული პოლიტიკის, ევროპული სამართლის და წვერ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების სფეროში პრობლემების რკვევა-იდენტიფივცირება და მათი გადაჭრის გზების და სხვა.
	✓ შეუძლია დაგეგმოს, განახორციელოს და შეაფასოს ევროპისმცოდნეობის დარგთან დაკავშირებული პროექტი, როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ, ორგანიზაციულ თუ სხვა საზოგადოებრივ დონეზე.
	  ✓ ამზადებს ანგარიშებს და ახდენს მათ დემონსტრირებას როგორ წერილობით, ისე ზეპირად ქართულ და უცხოურ ენებზე;
	  ✓ აქტიურად მონაწილეობს დისკუსიებსა და დებატებში. აცნობიერებს მის მნიშვნელობას მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის;
	  ✓ წარადგენს საკუთარ დასკვნებს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან როგორც წერითი სახით, ისე ზეპირად.
	✓ აანალიზებს საქართველოსა და ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემების განვითარების კანონზომიერებებსა და პოლიტიკური იდეოლოგიების მახასიათებლებს;
	
	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
	✓ ითავისებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ღირებულებებს და ახდენს მათ დემონსტრირებას:
	  ✓ შეუძლია, როგორც დარგში ასევე, მომიჯნავე სფეროში პრიორიტეტების გათვალისწინებით საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლად განხორციელება;
	  ✓ საკუთარ საქმიანობას აგებს ევროპის ისტორიული, პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური, ნაციონალური და კულტურული განვითარების კონტექსტში საკუთარი და სხვა ქვეყნების მმართველობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზების შემეცნებასა და პატივისცემაზე;
	✓ შეუძლია პროფესიული პასუხისმგებლობისა და სათანადო ეთიკური ნორმების დაცვა მუშაობის პროცესში.